მთავარი ორთაბრძოლების წინ

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 2 ოქტომბერი.

"დინამო" (თბილისი) – "კარპატი" (ლვოვი) 3:1 (2:0).

"დინამო": გოგია (გაბელია), კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კოპალეიშვილი), გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

"კარპატი": შვოინიცკი, როდინი, პოტოჩნიაკი, ჩორბა, ბონდარენკო, ბროვარსკი, ბალი, დუბროვინი, დანილიუკი, დუმანსკი, კოზინკევიჩი.

მსაჯი: ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი).

გოლების გაიტანეს: ჩივაძემ (20 წთ.), დარასელიამ (42), დანილიუკმა (56), გუცაევმა (79).

შარშან ამ დროს "კარპატს" ჩემპიონატის ერთ–ერთ მედალზე გარკვეული და არცთუ უსაფუძვლო პრეტენზიები ჰქონდა. მაგრამ ეს იყო შარშან. წლეულს ლვოველ ფეხბურთელებს ბევრად უსიამო პრობლემა აქვთ გადასაჭრელი. გათამაშების ცხრილის ფსკერზე მყოფი გუნდები (მათ შორის "კარპატიც") შიშით შესცქერიან ერთ "ვაკანტურ" ადგილს (მეორე კარგა ხანია დაისაკუთრა "კრილია სოვეტოვმა").

თითქოს კანონად იქცა და ბუნებრივიც არის, რომ ამ ყოფაში ჩავარდნილი კოლექტივები, შესწევთ საამისო ძალა თუ არა, მაინც მწარედ "იკბინებიან". კვირის მატჩის მიხედვით "კარპატს" ამის შესაძლებლობა არ ჰქონია – ერთობ თვალშისაცემი იყო სხვაობა მეტოქეებს შორის: ტექნიკური, ფიზიკური, ტაქტიკური. თბილისელთა აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს უამრავი საგოლე მომენტიც და თუ "დინამო" მხოლოდ სამი ბურთით "დაკმაყოფილდა" ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, თუმცა, საკმარისია ცოტათი მაინც უკან გახედვა, რომ ერთ არასასურველ ფაქტს წავაწყდეთ. ბოლო მატჩამდე გუნდმა 13 შეხვედრაში 12 ბურთი გაიტანა. რა საკამათოა, რომ თბილისელ ფეხბურთელებს ბევრად მეტი მოეთხოვებათ.

ბურთები ბურთებად, "კარპატთან" მატჩი კი უფრო სხვა რამით იყო საინტერესო. როგორც იქნა "თავისი" თამაში იპოვა ჩივაძემ, დამაჯერებელი და სტაბილური გახდა დარასელიაც. ყველაფერმა ამან აშკარად გაზარდა დინამოელთა ნახევარდაცვის შეტევითი პოტენციალი – ეს მთელი ოთხმოცდაათი წუთის მანძილზე იგრძნობოდა. ამასვე ლაპარაკობს ახალგაზრდა ფეხბურთელთა ორი გოლიც. სასიხარულოა ისიც, რომ მატჩიდან მატჩამდე უკეთ და უკეთ თამაშობს კოსტავაც.

ახლა თბილისის "დინამოს" მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრები ელის დონეცკსა და მოსკოვში, წინ არის უეფას თასის მეთექვსმეტედფინალური ორთაბძოლებიც. გუნდის ასეთი თამაში ("კარპატის" სისუსტე აქ მოსატანი არ არის – ლვოველებმა დამაჯერებლად მოუგეს წინა შეხვედრა "არარატს", თანაბარ ორთაბრძოლაში დათმეს მატჩი მოსკოვში ტორპედოელებთანაც. უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ "კარპატის" უსუსური სახე დინამოელთა კლასმა განაპირობა), განსაკუთრებით ნახევარდაცვისა, იმედით გვახედებს მომავლისკენ.

ი. ბერიაშვილი.
"ლელო", 4 ოქტომბერი, 1977 წ.